# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (9.904)

23 - 30 ნოემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## საარჩევნო სისტემა და ბოქლომების ომი

გვ. 3



## ფუნქციებიდან – „ცოცხალ წიგნებამდე“



გვ. 4

## უკვე მესამედ სასწავლო ცენტრ „სპექტრში“...



გვ. 5

## კაცობრიობის უდიდესი საფრთხე – ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა



გვ. 7

# პროფესიული სტანდარტი ყველამ უნდა დაიცვას!

## შეცდომა თუ მიზანმიმართული ტყუილი?!

საქართველოს მთავარი არხის ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელიც მიეძღვნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარების ქვეშ არსებულ ავტომანქანებსა და მათი შენახვის ხარჯებს. განსაკუთრებული ყურადღება იყო მიმართული ჟიგულის მარკის ავტომობილზე, რომლის შენახვაც მერიას 11 500 ლარი უჯდება. ეს ფაქტი გააპროტესტა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავარი არხის ჟურნალისტმა მისი კომენტარი დაჭრა და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები გაუშვა. სინამდვილეში, ჟიგულის მარკის მსუბუქი ავტომობილის შენახვა მუნიციპალიტეტს ასეთი ძვირი სულაც არ უჯდება. „: მეგობრებო, ეს არის ის ის საბუთები (სასაქონლო ზედნადები) რომელიც გვიჩვენებს, რომ მერიას ვაზ 2106 -ს რემონტზე წლის განმავლობაში დახარჯული აქვს 595 ლარი, ნაცვლად მთავარ არხზე ნათქვამი 11500 ლარისა. ეს ყველაფერი ჟურნალისტს ცხადად ავუხსენი, მაგრამ ტელე ეთერში მაინც სიცრუე თქვეს. დასკვნები თქვენთვის მომინდვია“-ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ეს სიტყვები საკუთარ ფეისბუქ გვერდზე დაპოსტა. გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას კი აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია პრიორიტეტებს სხვაგვარად ალაგებს, სადაც განმსაზღვრელი ინფრასტრუქტურული პროექტები და მოსახლეობის კეთილდღეობაზე გათვლილი პროგრამებია. „ახალი მანქანების შეძენაზეც სწორედ ამ მიზეზით ვამბობთ უარს, რადგან ჩვენ გვირჩევნია, დედოფლისწყაროელებს კომფორტი შევუქმნათ და მათ სოციალურ დაცვაზე ვიზრუნოთ, სკოლამდელი დაწესებულებებისა თუ სკოლების კეთილმოწყობაზე გავაკეთოთ აქცენტი. ვფიქრობ, ამ ყველაფერს სწორი მიდგომა სჭირდება. მე პატივს ვცემ ჟურნალისტებს და მათ პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ ვფიქრობ, პროფესიული სტანდარტი მათაც უნდა დაიცვან“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

# არ დაწვა ფოთოლი!



გვიანი შემოდგომაა. მივუყვები ქუჩებს. სუსხშეპარული ნიავი მელამუნება და ხიდან ბზრიალ-ტრიალით ცვივა ნირწამხდარი ფოთლები... ლამაზია, ძალიან ლამაზი ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ რაღაცნაირად სევდიანი...

ვხვდები, ნოსტალგიურ განწყობაზე ვართ ორივე-მეც და ბუნებაც...

ქარი ქრის, ზამთრის სევდა მოაქვს თან...

ორ ნაბიჯში ქალი ფოთლებს აგროვებს და ცეცხლს უკიდებს. კვამლით იფარება არემარე. სპეციფიური, არასასიამოვნო სუნით იჟღინთება გარემო.

„ქარი ქრის, ქუჩაში ფოთლების ჯაზია“ – პოეტურ განწყობას მიფუჭებს რეალობა.

მცენარეული ნარჩენების, მათ შორის ფოთლების წვა აბინძურებს როგორც ჰაერს, ისე ნიადაგს. 1 ტონა მცენარეული ნარჩენის კვამლი გამოყოფს 9კგ მიკრონაწილაკს. ისინი ჰაერის ორთქლთან ურთიერთქმედებენ და წარმოქმნიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ეგრეთ წოდებულ „სმოგს“; ეკოლოგები ამ ბოლს „ბიოლოგიურ იარაღს“ უწოდებენ. ნიადაგის ზედა ფენაში კი, მძიმე მეტალების შემცველობა 1,5-2 ჯერ იზრდება.

- „ფოთოლი როცა იწვება, მისი უდიდესი ნაწილი არ არის მშრალი და ბოლომდე გამხმარი, ამას ჰქვია არასრული წვა, კვამლი, რომელიც ამ დროს გამოიყოფა, ძალიან ბევრ შხამიან ნივთიერებას, მათ შორის მეთანს შეიცავს, რომელიც არის ადამიანისთვის ძალიან საშიში. ეს კი მრავალი დაავადების გამოწვევას უწყობს ხელს, კერძოდ, ბრონქულ ასთმას, ყელის სიმსივნესა და სხვა. რაც შეეხება ბუნებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ამცირებს ჟანგბადის რაოდენობას და მატებს ამიაკისა და მეთანის რაოდენობას ჰაერს, რომელსაც ვსუნთქავთ ჩვენ.'



— ეს გარემოს დაცვის ექსპერტის სიტყვებია.

ფოთლის წვა არის სეზონური პროცესი, რომელიც დასახლებულ ადგილებში ძირითადად გაზაფხულობითა და შემოდგომობით მიმდინარეობს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში — გაზაფხულობით.

სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით, ფოთოლი ბუნების მნიშვნელოვანი პროდუქტია, რომელიც კომპოსტირების ან მისი მინერალიზაციის შემთხვევაში, იქცევა ძალიან კარგ და სასარგებლო სასუქად, რომელიც შემდეგ შეიძლება, ფერმერებმა- სოფლის მეურნეობაში, ხოლო არქიტექტორებმა- ქალაქის გამწვანებისთვის გამოიყენონ.

ფოთლების დაწვა ოდიდგანვე გავრცელებული მიდგომაა ჩვენს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან გარემოს დანაგვიანება ისჯება კანონით, მისი სიმძიმე ჯერ არავის ჯიბეზე ასახულა უარყოფითად. ამ ფაქტორის ბრალია, რომ ფოთლების დაწვას დანაშაულად არავინ აღიქვამს და მოწოდება- არ დაწვა ფოთოლი!-კვლავ ცარიელ სიტყვებად რჩება.

ინგა შიოლაშვილი

***P.S.*** *კვამლი ხელს უწყობს ისეთი დაავადებების წარმოქმნას, როგორიცაა ინფარქტი, ბრონქული ასთმა,ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები, ასევე ფილტვისა და ყელის კიბო. კვამლი ბავშვებისთვის 6-ჯერ უფრო საზიანოა.*

*გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ 2015 წელს შემუშავებული ნარჩენების მართვის კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მუნიციპალური სახიფათო ნაჩენების, კეძოდ ფოთლების, ბაღის, პარკის ან სხვა საყოფაცხოვრებო ნაჩენების ღია წესით ან არადანიშნულების დანადგარში დაწვა დასჯადია. იგი ითვალისწინებს ჯარიმას 200 ლარის ოდენობით.*

*ნარჩენების წვის აღმოჩენის შემთხვევაში დარეკეთგარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფასო ცხელ ხაზზე: 153.*

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათშორის | | სულ | მათშორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები დანგამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფობიუჯეტისფონდები დანგამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარიშემოსავლები | | სახელმწიფობიუჯეტისფონდებიდანგამოყოფილიტრანსფერები | საკუთარიშემოსავლები |
| შემოსავლები | 9603.8 | 2950.2 | 6653.6 | 12228.5 | 5404.1 | 6824.4 | 6771,1 | | 6771,1 |
| გადასახადები | 3480.3 | | 3480.3 | 4494.6 | | 4494.6 | 4581,1 | | 4581,1 |
| გრანტები | 3953.1 | 2950.2 | 1002.9 | 5589.1 | 5404.1 | 185.0 | 185,0 | | 185,0 |
| სხვა შემოსავლები | 2170.4 | | 2170.4 | 2144.8 | | 2144.8 | 2005,0 | | 2005,0 |
| ხარჯები | 6396,8 | | 6396,8 | 7953,9 | 141,5 | 7812,4 | 7790,1 | | 7790,1 |
| შრომის ანაზღაურება | 1420.2 | | 1420.2 | 1503.0 | | 1503.0 | 1503,0 | | 1503,0 |
| საქონელი და მომსახურება | 945.8 | | 945.8 | 1383,8 | 141,5 | 1242,3 | 1161,6 | | 1161,6 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | | | | |
| პროცენტი | 48.9 | | 48.9 | 50.0 | | 50.0 | 50,0 | | 50,0 |
| სუბსიდიები | 3613.2 | | 3613.2 | 4369,3 | | 4369,3 | 4570,7 | | 4570,7 |
| გრანტები | 12.5 | | 12.5 | 35.0 | | 35.0 | 35,0 | | 35,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 328.3 | | 328.3 | 372.3 | | 372.3 | 372,3 | | 372,3 |
| სხვა ხარჯები | 27.9 | | 27.9 | 240.5 | | 240.5 | 97,5 | | 97,5 |
| საოპერაციო სალდო | 3207,0 | 2950.2 | 256.4 | 4274,6 | 5262,6 | -988,0 | -1019,0 | | -1019,0 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3458.5 | 2819.0 | 639.5 | 5799,8 | 5092,7 | 707,1 | -25,0 | | -25,0 |
| ზრდა | 3501.0 | 2819.0 | 682.0 | 6399,8 | 5092,7 | 1307,1 | 15,0 | | 15,0 |
| კლება | 42.5 | | 42.5 | 73.5 | | 73.5 | 40,0 | | 40,0 |
| მთლიანი სალდო | -251.9 | 131.2 | -382,7 | -2051.7 | 169.9 | -2221.6 | -994,0 | | -994,0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -251.9 | 131.2 | -382,7 | -2051.7 | 169.9 | -2221.6 | -979,3 | | -979,3 |
| ზრდა | 131.2 | 131.2 | | 169.9 | 169.9 | | | | |
| ვალუტა და დეპოზიტები | 131.2 | 131.2 | | 169.9 | 169.9 | | | | |
| კლება | 382,7 | | 382,7 | 2221.6 | | 2221.6 | | | 979,3 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 382,7 | | 382,7 | 2221.6 | | 2221.6 | | | 979,3 |
| ბალანსი | | | | | | | | | |
| ვალდებულების ცვლილება | | | | | | | | | |
| საშინაო | | | | | | | | | |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლისგეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 9646.3 | 12302.0 | 5404.1 | 6897.9 | 6811,1 | | 6811,1 |
| შემოსავლები | 9603.8 | 12228.5 | 5404.1 | 6824.4 | 6771,1 | | 6771,1 |
| არაფინანსურია ქტივების კლება | 42.5 | 73.5 | | 73.5 | 40,0 | | 40,0 |
| გადასახდელები | 9897,8 | 14353.7 | 5234.2 | 9119.5 | 7805,1 | | 7805,1 |
| ხარჯები | 6396,8 | 8359,3 | 445,9 | 7913,4 | 7790,1 | | 7790,1 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3501.0 | 5994,4 | 4788,3 | 1206,1 | 15,0 | | 15,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 42.5 | 73.5 | 0,0 | 73.5 | 40,0 | | 40,0 |
| ვალდებულებების კლება | | | | | | | |
| ნაშთის ცვლილება | -251,9 | -2051,7 | 169,9 | -2221,6 | -994,0 | | -994,0 |

მუხლი 3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6771,1 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9603.8 | 12228.5 | 5404.1 | 6824.4 | 6771,1 | | 6771,1 |
| გადასახადები | 3480.3 | 4494.6 | | 4494.6 | 4581,1 | | 4581,1 |
| გრანტები | 3953.1 | 5589.1 | 5404.1 | 185.0 | 185,0 | | 185,0 |
| სხვა შემოსავლები | 2170.4 | 2144.8 | | 2144.8 | 2005,0 | | 2005,0 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 3480.3 | 4994,6 | | 4494,6 | 4581,1 | | 4581,1 |
| საშემოსავლო გადასახადი | 344.9 | | | | | | |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | | 1384.9 | | 1384.9 | 1731,1 | | 1731,1 |
| ქონების გადასახადი | 3135.4 | 3109.7 | | 3109.7 | 2850,0 | | 2850,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 255.9 | 290.4 | | 290.4 | 230,0 | | 230,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2.8 | | | | | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2757.4 | 2779.3 | | 2779.3 | 2580,0 | | 2580,0 |
| არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულებისმიწაზე | 119.3 | 40.0 | | 40.0 | 40,0 | | 40,0 |
| სხვაგადასახადები ქონებაზე | | | | | | | |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 185,0 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| გრანტები | 3953.1 | 5589.1 | 185,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | | | |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 3953.1 | 5589.1 | 185,0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 817.9 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 185.0 | 185.0 | 185,0 |
| სხვა პროექტები | | 501.5 | |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2950.2 | 4902.6 | |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება | 2950.2 | 4122.4 | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 256.0 | |
| გრანტები | | 524.2 | |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2005,0 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 2170.4 | 2144.8 | 2005,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 1802.1 | 1932.8 | 1820,0 |
| პროცენტები | 139.4 | 150.0 | 100,0 |
| რენტა | 1662.7 | 1782.8 | 1720,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 1638.6 | 1762.8 | 1700,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 24.1 | 20.0 | 20,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 196.4 | 77.0 | 70,0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 151.4 | 50.0 | 50,0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 107.3 | 10.0 | 10,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,6 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 43.5 | 40.0 | 40,0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 45.0 | 27.0 | 20,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 94.1 | 15.0 | 15,0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 77.8 | 120.0 | 100,0 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7790,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათშორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათშორის: საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 6396,8 | 8359,3 | 445,9 | 7913,4 | 7790,1 | | 7790,1 |
| შრომის ანაზღაურება | 1420.2 | 1503.0 | | 1503.0 | 1503,0 | | 1503,0 |
| საქონელი და მომსახურება | 945.8 | 1792,4 | 445,9 | 1346,5 | 1161,6 | | 1161,6 |
| პროცენტები | 48.9 | 50.0 | | 50.0 | 50,0 | | 50,0 |
| სუბსიდიები | 3613.2 | 4366,1 | | 4366,1 | 4570,7 | | 4570,7 |
| გრანტები | 12.5 | 35.0 | | 35.0 | 35,0 | | 35,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 328.3 | 372.3 | | 372.3 | 372,3 | | 372,3 |
| სხვა ხარჯები | 27.9 | 240.5 | | 240.5 | 97,5 | | 97,5 |

# საარჩევნო სისტემა და ბოქლომების ომი

## არჩევანის ზღვარზე-პროპორციული თუ მაჟორიტარული?

მას შემდეგ, რაც პარლამენტში მაჟორიტარების მიერ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით პროექტი ჩავარდა, რასაც ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო აქციები მოჰყვა, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარები ახალი ინიციატივით გამოდიან და სრულ მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლისთვის ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ.

მაჟორიტარი დეპუტატების სახელით განცხადებას ავრცელებს დიმიტრი ხუნდაძე, სადაც ნათქვამია, რომ მაჟორიტარ დეპუტატთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ დაიწყონ ხელმოწერების შეგროვება სრულ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლისთვის საჭირო საკანონმდებლო ინიციატივის მოსამზადებლად და შემჭიდროვებულ ვადებში წარუდგინონ პარლამენტს, რათა, მათი აზრით, ყველაზე დემოკრატიული და სახალხო საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ქვეყანამ უკვე 2020 წლის არჩევნებისთვის შეძლოს. „მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელს პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებით „ქართული ოცნება“ დღემდე ამაყობს, ჩვენ ვთლით, რომ ამ გადაწყვეტილებაში საამაყო არაფერია, სინანულს განვიცდით ამ სტრატეგიული შეცდომის გამო. „მაჟორიტარული სისტემა, ცხადია, არ არის უნივერსალური, მაგრამ აქვს ბევრი უპირატესობა და დადებითი მხარე, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის რეალურ მმართველობას და ნამდვილ სახალხო სუვერენიტეტს, რაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის თანამედროვე ეტაპზე“, - ნათქვამია მაჟორიტარ დეპუტატთა ჯგუფის განცხადებაში.

როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა კობალაძემ განაცხადა, მას ამ ინიციატივის შესახებ არ სმენია და მხარი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას დაუჭირა. იგივე დაადასტურა მაჟორიტარმა დეპუტატმა ლადო კახაძემ. „არანაირ განხილვაში მონაწილეობა არ მიმიღია და პირველად თქვენგან მესმის ამ ინიციატივის შესახებ. ვერ გეტყვით რას ეფუძნება ეს განცხადება, რადგან პირადად მე მხარი დავუჭირე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის პროცესს. „თავიდან ნათქვამი იყო, რომ არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა 2024 წელს, 2020 წელი კი იქნებოდა მოსამზადებელი პერიოდი. მაჟორიტართა გარკვეული ნაწილი ამის წინააღმდეგი იყო და გაცხადებული ჰქონდათ. მერე ვნახეთ როგორ განვითარდა მოვლენები და უმრავლესობის შეხვედრაზე მაჟორიტარებმა ძირითად არგუმენტად მოიყვანეს მოსახლეობა, რომელთანაც მათ უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ, რომ მათი წარმომადგენლები არიან პარლამენტში. „რაც შეეხება ამ კონკრეტულ ინიციატივას, თუ დადგება განსახილველად, მე ჩემს მოსაზრებას ვიტყვი. ჩემი აზრით, ნებისმიერი საარჩევნო სისტემა, იქნება ეს პროპორციული, მაჟორიტარული თუ შერეული, მარტივი თემა არ არის, ეს ერთგვარი მეცნიერებაა და ყველა სისტემას კარგად გააზრება და გათვლა სჭირდება.

“ეს არ არის კალკა, რომ აიღო და გადმოიღო, არც ცხელ გულზე მისაღები გადაწყვეტილება. 230 წელია, ამერიკამ უნიკალური კონსტიტუცია მიიღო, სადაც მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით ტარდება არჩევნები, ეს მოდელი დიდი ხანია გამოსცადეს. რა თქმა უნდა, ჩვენ მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ და მივიღოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საარჩევნო სისტემა”, - განაცხადა ლადო კახაძემ.




ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ მან ბრიფინგზე განაცხადა.

„გადავწყვიტე, საჯაროდ გამეჟღერებინა და მიმემართა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარისა და პოლიტსაბჭოსთვის, რათა მათ მიიღონ ზომები უმოკლეს ვადაში 2020 წელსვე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარებაზე. ღრმად მწამს, რომ ეს გადაწყვეტილება აგვაცილებს საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავებას. მივმართავ ყველას, უპირველესყოვლისა, მმართველი გუნდის იმ წევრებს, ვინც ამ სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა - გამოვიყენოთ პლებისციტამდე თუ რეფერენდუმამდე დარჩენილი დრო საზოგადოებასთან სამუშაოდ, რათა ჩვენთვის და ქვეყნისთვის სასურველი შედეგი მივიღოთ. ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა შევთანხმდეთ, რომ შედეგები იქნება სავალდებულო და უპირობო მოქმედების სახელმძღვანელო ყველა ჩვენგანისთვის. ხალხი ბრძენია, საზოგადოება არის საკმარისად პოლიტიკურად მომწიფებული, რომ პოლიტიკური დემაგოგიისგან გამოარჩიოს ჭეშმარიტების მარცვალი, ანუ რატომ არის პროპორციული საარჩევნო სისტემა ამ სიტუაციაში ყველაზე კარგი გამოსავალი“, - განაცხადა ზოიძემ.

კითხვაზე, როგორ ჩატარდება რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციის პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა რეფერენდუმის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებას მოითხოვს, ზოიძემ აღნიშნა, რომ 2003 და 2005 წელს რეფერენდუმის ჩასატარებლად საჭირო გამოსავალი მოიძებნა, და იმედი გამოთქვა, რომ ამის საშუალება მოიძებნება ახლაც.





14 ნოემბერს პარლამენტმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა, რასაც პარლამენტს გარეთ პროტესტი, შენობაში კი ხმაური მოჰყვა. ამ გადაწაყვეტილების გამო უმრავლესობა რამდენიმე წევრმა დატოვა.

18 ნოემბერს აქციაზე სამართალდამცველებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სულ 37 ადამიანი დააკავეს. 18 ნოემბერს სპეცრაზმმა პარლამენტის შესასვლელებს ბოქლომები მოხსნა და ბარიკადებისგან გაათავისუფლა, ასევე რუსთაველის გამზირი კარვებისგან გაწმინდა.

გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნებია: „ვადამდელი პროპორციული არჩევნები, მთავრობის გადადგომა და სამოქალაქო საზოგადოებით დაკომპლექტებული ცესკო“.

21 და 22 ნოემბერს ოპოზიციამ „ბოქლომების ომი“ გამოაცხადა და ყველა ადმინისტრაციული დაწესებულების პიკეტირება სცადა. ბოქლომების აქცია თბილისში დაიწყო და რეგიონებშიც გადაინაცვლა. ამ აქციას ბევრგან დაპირისპირება მოჰყვა,არიან დაკავებულებიც. კამპანია „დააბოქლომეს“ ფარგლებში მიმდინარე აქციაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობასთან დაკავებული ექვსივე პირი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს.

„ლეიბორისტული პარტიისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის, ასევე, მოძრაობა „გაბედეს“ წარმომადგენლები წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლებით დააკავეს.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ საპროტესტო აქციაზე პოლიციამ 6 პირი დააკავა, დაკავებულებს შორისაა ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ვაჟი ბექა ნათელაშვილი. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ექვსივე დაკავებულს ბრალად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული ედება.

ოპოზიციის აქტივისტები რამდენიმე დღეა მართავენ აქციას „მაინც დაგაბოქლომებთ“. მათი მთავარი მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება და მთავრობის გადადგომაა. გარდა ამისა, ისინი პარლამენტთან დაკავებულებისთვის პატიმრობის მისჯას აპროტესტებენ.

საქართველო დღეს არჩევანის ზღვარზეა. არავინ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მოსახლეობა, თუკი გაიმართება რეფერენდუმი. საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების მოწინააღმდეგეებიც გამოჩნდებიან ალბათ, რომლებიც იტყვიან, რომ ეს ქვეყნისთვის ზედმეტი ხარჯია და რომ ხელისუფლებამ თავისი დანაპირები რეფერენდუმის გარეშეც უნდა შეასრულოს. მაგრამ დემოკრატიის პრინციპი მოითხოვს, ღიად დაფიქსირდეს ხალხის ნება, იმ ხალხის, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია ყველა ჩინოვნიკი თუ ოპოზიციის წარმომადგენელი. თუ მოსახლეობას კითხავთ, გააკეთონ არჩევანი “ბოქლომების ომსა” და არეულობას თუ რეფერენდუმს შორის, მათი არჩევანი რეფერენდუმის სასიკეთოდ გადაწყდება.

ხალხი არ არის საარჩევნო ბიულეტენი, რომ მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებოდეს პოლიტიკურ სუბიექტებს. მათი აზრი არჩევნებამდეც განმსაზღვრელია, ბატონებო!

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

# ორჰუსის კონვენცია და გარემოსდაცვითი დემოკრატია

გარემოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია გარემოსდაცვით უფლებებსა და მოვალეობებში გაცნობიერებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც აქტიურად ჩაერთვება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს შეუწყობს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა ორჰუსის კონვენცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემოს დაცვას და ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს და არეგულირებს მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აგრძელებს საინფორმაციო კამპანიას თემაზე “გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები”. კამპანიის ფარგლებში ტრენინგი გაიმართა ქ. თელავში და მას ესწრებოდნენ კახეთის მუნიციპალიტეტების საჯარო, ადგილობრივი არასამთავრობო და მედია სექტორის წარმომადგენლები. ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ორჰუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების,ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებებისა და ვალებულებების და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული ტრენინგების ჩატარება მიზნად ისახავს ორჰუსის კონვენციით ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობას. ორჰუსის კონვენცია, რომლის მხარეც საქართველო 2001 წელს გახდა, ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებულ ტრენინგებს 2019 წლის ბოლომდე საქართველოს ყველა მხარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან გამართავს.

# ფურცლებიდან – „ცოცხალ წიგნებამდე“

- „ადამიანი პოეზიით ღმერთი ვერ გახდება“...
- „შეშლილებს მზე ბადებს“...
- „სხეული მძიმდება, როცა ვიღაცას მზერას გრძნობს“...
- „არ მახსოვს ბოლოს როდის გამომესარჩლა ჩრდილი“...
- „რადგან სილამაზე სულში არ ეტევა“

ეს იმ „ცოცხალი წიგნების“ შემოქმედებიდან მცირე ამონარიდებია, რომლებსაც 19 ნოემბერს დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მისული მსურველები ეცნობოდნენ. ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა: „ცოცხალი წიგნები“? როგორ? რანაირად? თქვენივე კითხვების პასუხად გეტყვით, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ა(ა)იპ „პოეზიის მეგობართა კლუბი“, საქართველოს რეგიონებში უკვე მეხუთე წელია, საგანმანათლებლო-ლიტერატურულ პროექტს „ცოცხალი წიგნები“ ახორციელებს. პროექტის ხელმძღვანელი მინისტრის მრჩეველი და ექსპერტი ლიტერატურის დარგში, ქეთევან დუმბაძეა, კოორდინატორი კი ა(ა)იპ „პოეზიის მეგობართა კლუბის“ გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი მარიამ წიკლაური-ძიძიგურისა. პროექტის ფარგლებში თანამედროვე მწერლები საქართველოს ყველა რეგიონს სტუმრობენ და რამდენიმე დღის განმავლობაში მკითხველებთან შეხვედრებს მართავენ. პროექტის ავტორები ამბობენ, რომ ამ გზით ისინი თბილისში მოქცეული კულტურული ჩაკეტილი წრის გარღვევას და საკუთარი ხმის რეგიონებისთვის მიწვდენას ცდილობენ.

ღონისძიება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა გახსნა: „ვინც არ იცის, განვმეორდები, რომ უკვე რამდენიმე წელია, არსებობს ასეთი პროგრამა „ცოცხალი წიგნები“. „ცოცხალი წიგნები“, ასე ვთქვათ, არიან პოეტები და მწერლები, რომლებიც საკუთარ მკითხველებთან მიდიან და პირადად აცნობენ თავიანთ შემოქმედებას. გარდა ამისა, ისინი ყოველთვის ხელდამშვენებულები არიან და ბიბლიოთეკას საჩუქრებითაც ესტუმრებიან ხოლმე. ამბობენ, საქართველოში ყოველი მეორე პოეტიაო. ამის შეფასება ძალიან ძნელია, მაგრამ მე ძალიან გახარებული ვარ ასეთი ძვირფასი ადამიანების სტუმრობით“.

შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის მონაწილე პოეტები: ნატო დავითაშვილი (პროზაიკოსი), შაკო ბაკურაძე (პოეტი), გივი ჩილვინაძე (პოეტი, პროზაიკოსი, საბავშვო ავტორი), გიო ლომიძე (პოეტი), ლევან ლორია (პროზაიკოსი), ოთარ ჯირკვალიშვილი (პროზაიკოს- ლიტერატორი). ექვსი პოეტი, პროზაიკოსი, ლიტერატორი, ექვსი განსხვავებული ადამიანი სხვადასხვა თემატიკით და საინტერესო ხედვით. თუმცა, ამ განსხვავებულობას ერთი მსგავსებაც აქვს: მათი საერთო მაინც ხელოვნება, პოეზია და მისდამი სიყვარულია. საკუთარი შემოქმედება მკითხველს პირველად შაკო (შალვა) ბაკურაძემ გააცნო: „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური ფონია და ამ მხრივაც რთულია დღეს პოეზიაზე და ლექსებზე საუბარი, მაინც მიხარია დედოფლისწყაროში კიდევ ერთხელ ჩამოსვლა და თქვენთან სტუმრობა. შარშან თქვენგან წაღებული ჟურნალ „ხორნაბუჯის“ ნომრები გადავათვალიერე. ძალიან საინტერესო და არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კახეთში ყველაზე კარგი ლიტერატურული ჟურნალი სწორედ აქ, დედოფლისწყაროშია. ბევრი გვინახავს, ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ ეს ნამდვილად ყველაზე განსხვავებული აღმოჩნდა.“ მან მკითხველებს მართლმადიდებლური პოეზიის ნიმუში წარუდგინა, რომელიც შარშან გამომცემლობა „საუნჯეში“ როგორც მესამე კრებული ისე გამოსცა სახელწოდებით „დასდებელნი წმინდისა აღდგომისანი“. კრებულის ყდას მხოლოდ სათაური აწერია, ავტორი ზედაპირზე არ ჩანს, ის სადღაც სიღრმეშია ჩაკარგული. ზედაპირზე კი თემო ჯავახიშვილის ნამუშევარია - მორზეს ანბანით დაწერილი „მამაო ჩვენო“. შალვა ბაკურაძეს პოეზიის თავისებური ხედვა აქვს და ამ პრინციპებს დიდი ხანია, ჯიუტად არ ღალატობს. მთავარი აქ ისაა, რომ როგორც არ უნდა დაიწყოს წერა, პოეზიის ბაზისური გაგება მასში მაინც არ იცვლება. მისივე თქმით, მართლმადიდებლობას როგორც პოეზიას დრო ვერაფერს ვერ აკლებს, თუმცა, მას მუდმივად სჭირდება განახლება და ახალ-ახალი იდეებითა თუ ფორმებით გამდიდრება.



ნატო დავითაშვილი, პროზაიკოსია, რომელიც 2000-იანი წლებიდან ფენტეზის ჟანრში წერს. როგორც მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, წერით სულ არ იყო გატაცებული, არც უფიქრია წერის დაწყება, მაგრამ საკუთარი შვილის ბიბლიოთეკაში ქართული მითების ნაკლებობას როდესაც წააწყდა, მაშინ გადაწყვიტა ავტომატურად ამ ჟანრისთვის ყურადღების დათმობა: **„წერის დაწყება ათი წლის წინ გადავწყვიტე. ალბათ არც დავიწყებდი, ქართულ ლიტერატურაში რომ არ მომესაკლისებინა ფენტეზის ჟანრი, თანაც არა ორიგინალური, არამედ ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული სამყარო. მოკლედ, დავწერე ის, რისი წაკითხვაც მსურდა და რაც მინდოდა ჩემი შვილის საყვარელი წიგნი ყოფილიყო. პირველი წიგნი „ამბავი ლილე იროელისაა”, რომლის წერა ცოტა გამიგრძელდა — სამი წელი დასჭირდა, მაგრამ მას ქართულ მითოლოგიასა და ტრადიციებზე დაყრდნობით მოჰყვა რამდენიმე წიგნი: “როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან”, “ამბავი ლილე იროელისა”, “ნისლებში და ნისლებს მიღმა”, “ოთხი მხარე და ოთხი სვეტი”.“ ნატო დავითაშვილმა მცირე ამონარიდის წაკითხვითაც „გაანებივრა“ იქ მისული მკითხველი. „მართალია, არარეალურ სამყაროზე ვწერ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი გააზრებული უნდა მქონდეს — გეოგრაფიით დაწყებული, რასების სოციალური ფუნქციებით დამთავრებული. ყველა გამოგონილი სამყაროს უმნიშვნელოვანესი ღირებულებები კი ჩვენის გამოძახილია.“-** აღნიშნა მან.

ნატო დავითაშვილის სიტყვას ოთარ ჯირკვალიშვილის საინტერესო გამოსვლა მოჰყვა გალაქტიონზე დაწერილი მოთხრობის ამონარიდებით, მისი შეხვედრით ტერენტი გრანელთან, საინტერესო აღმოჩენები და გალაქტიონის ხელახალი გაცოცხლება მსმენელში. მას პოეტი გიო ლომიძე შეენაცვლა, რომლის პოეტური კრებულები თანამედროვე პოეზიას განსხვავებულ ელფერს მატებს. მის ლექსებში იგრძნობოდა ის ინდივიდუალიზმი, რომელიც განსაკუთრებული წინაპირობაა ღირებული ტექსტის შესაქმნელად და შემდეგ მის აღმოსაჩენადაც. **გიო ლომიძეს ენაკვიმატი და სხარტი ხალხის, გურულების წარმომადგენელი ლევან ლორია მოჰყვა, რომელმაც მისი სხარტი, გურულებისთვის დამახასიათებელი იუმორითა და სითბოთი სავსე საკუთარი მოთხრობები გააცნო მსმენელს, მოთხრობები, რომელიც ყოველი წინადადების ბოლოს ღიმილს იწვევდა და სადღაც იმ სამყაროში იწვევდა ადამიანს, სადაც იუმორი, ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა ცხოვრებას ალამაზებს და უფრო მსუბუქს ხდის. მისი ერთ-ერთი მოთხრობა „მოკბეჩილი ჩურჩხელაც“ სწორედ ამის დასტურია.** ბავშვებიც არ უნდა დავივიწყოთ და საბავშვო მწერალი გივი ჩილვინაძეც წარსდგა მკითხველის წინაშე. მისი ლექსები, მოთხრობები და საბავშვო ნაწარმოებები დიდი ხანია იბეჭდება ქართულ სალიტერატურო და საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. მისი ნაწარმოებები შესულია სხვადასხვა კრებულებში. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. მან ერთი ლექსი „მოხევური სკივრებიც“ წაუკითხა მსმენელს, რომელსაც შემდეგი წინაპირობა წაუმძღვარა: „ზეპირი გადმოცემებითა და ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება, რომ მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცის დასაწყისში ჩვენთან, საჩხერის რაიონის სოფელ მოხვაში, მრავალი სკივრი მზადდებოდა, რომლებიც უმეტესად სამზითვოდ გამოიყენებოდა.“

გარდა ჩამოსული სტუმრებისა, შეხვედრა განსაკუთრებული სითბოთი აავსეს ადგილობრივმა პოეტებმაც: ჯუმბერ უთრუთაშვილმა, რომლის პოეზიაც მისივე შვილიშვილმა ანა იგნატიევამ გააცოცხლა, ლევან ალავერდაშვილმა, თამაზ წიკლაურმა, გიორგი ნატროშვილმა - ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელმა. ისინი პროექტის მონაწილეებს საკუთარ დროში, გონებაში და გულში გამოჭედილი ლექსებით ენაცვლებოდნენ და შეხვედრას სულ სხვა ელფერს სძენდნენ. ღონისძიების დასასრულს, სამადლობელი სიტყვით გამოვიდნენ დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ლალი გურასპაული, დამსახურებული პედაგოგი ნანული ნატროშვილი, ასევე დედა სერაფიმე და სოფ. არხილოსკალოში სულ ახლახანს შექმნილი „ცოდნის სახლის“ დამფუძნებელი ნანუკა ჭინჭარაულიც. მათ საკმაოდ დადებითად შეაფასეს „ცოცხალი წიგნების“ სტუმრობა, უდიდესი მადლობა გადაუხადეს ჩამოსვლისთვის და იმ სულიერი სამყაროს კიდევ ერთხელ გამდიდრებისათვის, რომელიც ჩვენი თაობისა და არამარტო ჩვენი, აღზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ნანუკა ჭინჭარაულმა და დამსწრე საზოგადოებამ დედოფლისწყაროში მსგავსი სისტემატიური ხასიათის ღონისძიებების მოწყობის მზაობა გამოთქვეს, რაც ადგილობრივი მწერლებისა თუ პოეტების დაფასებას დაისახავს მიზნად. იმ პოეტებისა თუ მწერლებისა, რომლებიც უკვე მრავალი წელია საკუთარი შემოქმედებით ემსახურებიან მუნიციპალიტეტსა და სამშობლოს. „ცოცხალმა წიგნებმა“ კი კიდევ ერთხელ გაარღვიეს თბილისში მოქცეული კულტურული, ჩაკეტილი წრე და ხმა იმ რეგიონებსაც მიაწვდინეს, რომელთა ძახილიც ხან ისმის და ხან -არა.

ქუქუნა ყანჩაშვილი



# უკვე მესამედ სასწავლო ცენტრ „სპექტრში“...

**კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია და უნივერსიტეტის წარმომადგენლები დედოფლისწყაროში, სასწავლო ცენტრ „სპექტრში“ უკვე მესამედ ჩამოვიდნენ,სადაც აბიტურიენტებმა ინფორმაცია მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე და დასვეს კითხვები საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით.**

-მოგესალმებით ძვირფასო ბავშვებო და პედაგოგებო, პირველად 2017 წელს ვიყავი თქვენთან და იმდენად შემიყვარდა დედოფლისწყარო, მგონია, წინა ცხოვრებაში ქიზიყელი ვიყავიო, –ხუმრობანარევი ტონით დაიწყო ბატონმა კახამ შეხვედრა სასწავლო ცენტრ „სპექტრში“ და კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემა გამოხატა ცენტრის დირექტორის, ქ-ნ ნუნუ ცაკაშვილის მიმართ:სწორედ ქალბატონი ნუნუ მაძლევს მოტივაციას, რომ ასე მიყვარს აქაურობა, სწორედ ასეთ უმაგრეს პედაგოგებზე დგას დღეს მთელი ქვეყანაო-განაცხადა ბატონმა კახამ და კიდევ ერთხელ უნივერსიტეტის 11 სკოლის(დეკანატის) პროგრამა წარმოუდგინა მოსწავლეებს თითოეულ დეკანთან ერთად.

უნივერსიტეტის მარკეტინგის დირექტორი თამთა ბუთხუზი აბიტურიენტებს უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე განვლილ ისტორიაზე ესაუბრა: „ კავკასიის უნივერსიტეტი 1998 წელს დაარსდა და დღემდე ნოვატორია. მას არათუ არ დაუკარგავს ეს სულისკვეთება, არამედ იყო 1 სკოლა და დღეს 11 სკოლაა, წელს პირველად გვექნება მიღება დიპლომირებული მედიკოსის სპეციალობაზე. ჩვენ მუდმივად ზრდაზე ვართ ორიენტირებულნი და ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებები ბატონ კახასთან ერთად მთელ გუნდს ეკუთვნის. წელს გავაფორმეთ მემორანდუმი საქართველოს ბანკთან და მისი შვილობილი „საქართველოს უნივერსიტეტი“ შემოგვიერთდა. ჩვენთან ნებისმიერი ლექტორი არის პრაქტიკოსი და არის დარგის პროფესიონალი. გვყავს უამრავი საერთაშორისო პარტნიორი და თითქმის არცერთი დაუსაქმებელი კურსდამთავრებული, ანუ, ამ დროის მონაცემებით 98% დასაქმებულია, მათ შორის 80% სტუდენტობაშივე. -გვიამბობს თამთა და დეტალურად აცნობს მომავალ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდის წესებს. შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა იმ პრიორიტეტებს, რომლის მიხედვითაც წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ სრულიად უფასოდ ისწვლონ ამ პრესტიჟულ უნივერსიტეტში. ახალგაზრდების წინაშე პრეზენტაციით წარსდგნენ დეკანები:ელენე ჯღარკავა,(ბიზნესის სკოლის დეკანი), დავით ნატროშვილი (ევროპისმცოდნეობის სკოლის დეკანი),სოსო ბერიკაშვილი(ეკონომიკის სკოლის დეკანი, კლუბ „რა, სად, როდის“ წევრი). ბატონმა სოსომ ყურადღება გაამახვილა მათემატიკის ცოდნის მნიშვნელობაზე და მასზე, როგორც“ საერთაშორისო ენაზე“ისაუბრა. აბიტურიენტებს გაეცნო ბატონი ალუდა გოგლიჩიძე(დაწყებითი განათლების დეკანი), რომელმაც აქცენტები გააკეთა, რამდენად მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების განათლების მაღალი დონე,რადგან ისინი პირდაპირ ფორმირებას ახდენენ ბავშვის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე, ისაუბრა ახალ პროგრამაზე, რომელიც მთლიანად წიგნიერებაზეა ორიენტირებული.



შეხვედრის დასასრულს, ქალბატონმა ნუნუმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კავკასიის უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, მათ შორის განსაკუთრებით გამოყო ეკონომიკის და ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატებული საქმიანობები, რამდენადაც დღეს ძალიან მოთხოვნადია ეს პროფესიები. მან ეს საკუთარი ვაჟის -ილია იმერლიშვილის



მაგალითზე ესაუბრა ბავშვებს. ილია ბატონი კახას მიერ იყო მოწვეული და ესწრებოდა შეხვედრას, როგორც წარმატებული კურსდამთავრებული და 10 წლიანი წარმატებული სტაჟის მქონე ახალგაზრდა.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა კახა შენგელიამ სიმბოლური საჩუქარი გადასცა ქალბატონ ნუნუს მოსწავლეების თანდასწრებით, ღრმა პატივისცემის ნიშნად.

მხიარულ ვითარებაში ბავშვებისა და სტუმრებისთვის დაიჭრა 176-ე და 177 - ე ტორტი „სპექტრის“დაარსებიდან.

14 დეკემბერს უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ აბიტურიენტები მიწვეულნი არიან ღია კარის დღეზე კავკასიის უნივერსიტეტში.

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# ტრაგედია დედოფლისწყაროში

16 წლის ბიჭის გარდაცვალების ფაქტზე შს სამინისტრომ დედოფლისწყაროში მცხოვრები 18 წლის ბიჭი დაკითხა. დედოფლისწყაროს ტელევიზიის ექსკლუზიური ინფორმაციით, მძღოლი, 2001 წელს დაბადებული გ.ფ. პოლიციას თავად ჩაბარდა და სამმართველოში მშობელთან ერთად მივიდა. წინასწარი ინფორმაციით, ის მართავდა ავტომობილს, რომელიც მოპედს შეეჯახა და მოზარდი იმსხვერპლა. სავარაუდოდ, მძღოლს არც მართვის მოწმობა არ აღმოაჩნდა.

შს სამინისტროს პრესსამსახურში ამ დროისთვისაც განმარტავენ, რომ დედოფლისწყაროს სოფელ გამარჯვებაში 19 ნოემბრის ღამეს მომხდარ ფაქტზე არავინ დაუკავებიათ. თუმცა, ადასტურებენ, რომ სავარაუდო ექვმიტანილმა გამოძიებას ჩვენება უკვე მისცა. სამინისტრომ მძღოლის ვინაობა გზებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერების გაშიფვრის შედეგად დაადგინა. ამ ეტაპზე გამოძიება ექსპერტიზის დასკვნის მოლოდინშია, რის შედეგადაც ხსენებული მძღოლის ბრალეულობის ხარისხი დადგინდება.

როგორც სოფელ გამარჯვებაში ამბობენ, ერთერთი ვერსიით, გარდაცვლილი და ავტომანქანის მძღოლი უბედურ შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე ერთ სუფრაზე იმყოფებოდნენ. თუმცა, გარდაცვლილის მეგობრებისთვის გაუგებარია, როდის დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, რა ვითარებაში მოხდა შეჯახება, ან რატომ არ გამოიძახეს დროულად სასწრაფო დახმარების სამსახური.

თვითმხილველების განმარტებით, შეჯახება ცენტრალურ მაგისტრალზე გვიან ღამით მოხდა. ადგილობრივებმა შეჯახების ხმა დაახლოებით 12 საათისთვის გაიგეს და პოლიცია გამოიძახეს. ჩვენი ინფორმაციით, გარდაცვლილია მოპედის მძღოლი, 16 წლის ზურა მარტყოფლიშვილი. სხეულის დაზიანებები მიიღო სკუტერის კიდევ ერთმა მგზავრმა, რომელიც მისი თანაკლასელია. ორივე მათგანი სოფელ გამარჯვების მკვიდრია. ისინი სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ეკიპაჟმა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა მძღოლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. თვითმხილველებმა ის უგონო მდგომარეობაში იპოვეს. მეორე მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.



„გზაზე მივდიოდით და თვალებში რაღაცამ მოგვანათა, შემდეგ არაფერი აღარ მახსოვს... გზის მეორე მხარეს მიპოვეს“ - ამბობს დაშავებული მოზარდი.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მთავარი ექიმის, ხათუნა ზურიკაშვილის ინფორმაციით, დაშავებული საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. „მას ფეხის ტრამვა ჰქონდა, ჭრილობა დავამუშავეთ და უკვე გავწერეთ. მეორე ახალგაზრდა, სამწუხაროდ, გარდაიცვალა“ - განაცხადა ზურიკაშვილმა.

შსს-მ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომანქანის მძღოლის ვინაობა ოპერატიულად დაადგინა. მოკვლევა საგზაო კამერების ჩანაწერების საფუძველზე განხორციელდა. უწყების ინფორმაციით, მძღოლი გამოკითხვაზე უკვე გამოცხადდა. მისი ბრალეულობის დასადგენად, გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას დაელოდება. შეგახსენებთ, ავტოსაგზაო შემთხვევა დედოფლისწყაროში წუხელ მოხდა. შემთხვევის შედეგად, 16 წლის მოზარდი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ მომხდარ ფაქტზე, საქმე სსკ 276-ე მუხლითაა აღძრული, თუმცა დაკავებული ჯერჯერობით არავინ არის. საქმისათვის მნიშვნელოვანია, მეორე მოზარდმა შემთხვევის დეტალები გაიხსენოს“ - განმარტეს სამინისტროში.

# სამშობლოში სამშობლოს მაძიებელნი

**„ჩემი ქვეყნის ისტორია დედის თვალებიდან ჩამოგორებულ ობოლ ცრემლს მაგონებს“ - გოდერძი ჩოხელი.**

**„ერთი ჭირი გვჭირს ქართველთა, გინდა დიდსა და მცირეთა - ჩამოსხდებიან, იტყვიან, უჩემოდ ვით იმღერეთა?“**

ამპარტავნებისა და დიდგულოვნობის სენი რომ გვჭირს, ამას ზემოთ ხსენებული სტრიქონებიც ადასტურებენ ქართული ლიტერატურის კლასიკიდან. იყო დრო, გულწრფელად გვეგონა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ უფრო უკეთესად ვიცხოვრებდით. ეშველებოდა ქართველ ერს, ქართულ კულტურას, რომელიც თავს დაიხსნიდა კომუნისტური ცენზურისაგან. დადგებოდა დრო, როცა მსოფლიოს წინაშე წარვსდგებოდით არა როგორც საბჭოთა მწერლობისა და საბჭოთა კულტურის წარმომადგენლები, არამედ, როგორც საქართველოს მწერლობისა და ხელოვნების წარმომჩენნი, საკუთარი ერის შვილები. დადგებოდა დრო, როცა მსოფლიო გაიგებდა, რომ არსებობს საქართველო, ერთ-ერთი უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ერი, რომელმაც შექმნა იმ დონის კულტურული ღირებულებანი, გვერდით რომ დაუდგება კაცობრიობის სხვა უდიდეს კულტურულ მონაპოვრებს. ფართოდ გაიხსნებოდა კარი და თუ მანამდე საზღვარგარეთ გამგზავრება მოსახლეობის უმრავლესობისთვის აუხდენელი ოცნება იყო, ის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. მოგვეცემოდა შესაძლებლობა სხვა ერთა მიერ შექმნილი ცივილიზაციური მიღწევები სენკევიჩის კი არა საკუთარი თვალით გვენახა და ა.შ. დადგა ეს ნანატრი დღეც, მოვიპოვეთ თავისუფლება და ყველაფერი აირია ერთმანეთში. უმალვე დაიკარგა ეროვნული, კულტურული და ზნეობრივი ორიენტირები.

გლობალურმა გადაგვარების პროცესმა, რომელიც წლებია მიმდინარეობს, თავისი საქმე უკვე გააკეთა. უმბერტო ეკო 2010 წლის 26 ნოემბერს ჟურნალ „ესპრესოში“ წერდა:

„მივდივართ ჭეშმარიტად გლობალიზაციისათვის შესაფერისი განათლებისაკენ, მაშინ, როცა განათლებულ ევროპელთა 99%-მა არ იცის, რომ ქართველებისათვის ყველაზე დიდი ლიტერატურული ძეგლი რუსთაველის “ვეფხისტყაოსანია”. და ევროპელები ასევე ვერ შევთანხმებულვართ (შეამოწმეთ ინტერნეტში) ამ ჩვენთვის უცნობ ანბანზე დაწერილ ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟს პანტერის ტყავი მოსავს, ვეფხვის, თუ ლეოპარდის? და კვლავაც ვაგრძელებთ საკუთარი თავისთვის შეკითხვის დასმას: “ეს რუსთაველი ვინღა იყო?!”

დიახ, ამით ამოიწურება ეს უმნიშვნელო ცოდნაც კი საქართველოს წარსულზე. არადა იყო დრო, როდესაც ჩვენმა ევროპელმა მეგობრებმა ამ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხზე, მათ მაღალ ერუდიციაზე და ბრწყინვალე კულტურაზე გაცილებით მეტი იცოდნენ, იქნებოდნენ ეს: და-ძმა უორდროპები, არტურ ლაისტი, ალენი, ლენგი თუ სხვები...

ცნობილი გერმანელი მწერალი ჰაინრიჰ ბიოლი ორჯერ იყო საქართველოში 1966 და 1972 წლებში. თავის დროზე ჩვენს ევროპელ მეგობრებს, სანამ „შალახოთი“ სადღეგრძელოს გვეტყოდნენ, ქართველებზე და საქართველოზე იქნებ მისი კომენტარი გახსენებოდათ. აი, რას წერდა იგი: „მე თვალში მომხვდა ქართველების ბუნებასთან სიახლოვე, ბუნებრიობა, ადამიანური შემოქმედებითი საწყისის შენარჩუნება. ქართველების ცხოვრებას აქვს მკვეთრი ინდივიდუალობა, განუმეორებლობა, მას ნაკლებად, ვიდრე ევროპული ერების ცხოვრებას, ემუქრება უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის მსახვრალი ხელი, ქართველების ცხოვრება ნაკლებადაა პროგრამირებული. ეს ბედნიერებაა!”.

და კიდევ: „თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთანები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი ძლივსღა აღწევდნენ ევროპამდე”.

დიახ, ჩვენს დროში ეს ცოდნაც დაიკარგა, რომლის არა ერთ არსებით მხარეს არათუ უცხოელთათვის, თავად ჩვენთვისაც თანდათან დავიწყებას ვაძლევთ. საკითხავია - რატომ? მითუმეტეს, თუ ვცხოვრობთ კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის, ინვესტიციის, ურთიერთდაახლოების, სამეცნიერო-ტექნიკური და სახელოვნებო ინფორმაციით ურთიერთგამდიდრების ეპოქაში.

რატომ არ იცის ეს ყველაფერი ქვეყნის უდიდესმა უმრავლესობამ?

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი ერების მიერ უგულებელყოფა მცირე ქვეყნების ისტორიის, არ ახალია, ძველია. იქნებ ამიტომაცაა, რომ მათ ინტელექტუალურად შეზღუდული მსოფლმხედველობით წარმოუდგენივართ სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ისტორიების ქვეტექსტად. მაგრამ ამაში ხომ ჩვენ თავადაც ვცოდავთ. ფაქტია, რომ საქართველოს ჯერ არც კი შეუმუშავებია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი პროგრამა, რომლითაც ითარგმნება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული და ლიტერატურული ნაშრომები (ან მათი ნაწილი მაინც) ინგლისურ ენაზე. უცხოელები, როგორც ვხედავთ, ამას არ აპირებენ, რის მიზეზადაც ის მოაქვთ, რომ მთარგმნელთა რიცხვი მცირეა, საამისოდ დიდი თანხებიცაა საჭირო და არც მარკეტინგზე ზრუნავს ვინმე. მაშასადამე, გვრჩება მხოლოდ იმის იმედი, რომ მთავრობამ დააფინანსოს სამეცნიერო და მთარგმნელობითი სამუშაოების პროგრამა, რომელსაც ქართველი სწავლულები და მთარგმნელები აღასრულებენ. ამით საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა მსოფლიო სარბიელზე უფრო სრულად და გაუყალბებლად წარმოჩინდებოდა.

ყბადაღებულმა მულტიკულტურიზმის პოლიტიკამ და ანტიისტორიზმმა ევროკავშირი დაშლის პირას მიიყვანა. ამიტომაა, რომ ევროპა პატრიოტულ ნოტებზე დადგა. ბებერ კონტინენტზე დღეს უკვე არ არსებობს ერი, რომელიც თვითიდენტიფიკაციის დასამკვიდრებლად არ ზრუნავდეს საკუთარი ნაციონალური პრიორიტეტების წარმოჩენით.

ჩვენ ამ მხრივ დროს ჩამოვრჩებით და ინერციით კვლავაც მივყვებით იმას, რომლისგან განთავისუფლებასაც ევროპა იწყებს. ფაქტია, რომ საქართველო ხელახლაა აღმოსაჩენი!

ქართველ კაცს და საქართველოს ისტორიულად დაებედა ბრძოლა არსებობისთვის, მაგრამ ამ ისტორიულ ორომტრიალშიც ვახერხებდით თავის გადარჩენას და ჩვენი მისიის შესრულებას. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ძალზე გაგვირთულდა და გაგვიგრძელდა სრულყოფილი და დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესი.

საბჭოთა კავშირის დანგრევა დიდი კატასტროფა რომ აღმოჩნდა (არა მხოლოდ საქართველოსთვის), ისტორიამაც დაადასტურა. ამ პროცესების შედეგია ის მოვლენები, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. არადა, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ჩვენი ქვეყანა ასე თუ ისე სასათბურე პირობებში იყო, ყველა უცხოელი სტუმარი ჩვენთან ჩამოჰყავდათ, ეცნობოდნენ საქართველოს სილამაზეს, მის კულტურას, ტრადიციას და აღფრთოვანებულნი იყვნენ. დღესაც უამრავი სტუმარი ჩამოდის, მაგრამ აღფრთოვანების რა მოგახსენოთ, მხოლოდ ჭამა—სმითა და დაპირებებით კმაყოფილდებიან. დღეს კი თითქმის ყველაფერი დავანგრიეთ, სამწუხაროდ, მათ შორის, ეროვნული ფასეულობები - ზნეობა, სულიერება, თვითმყოფადობა. ყოველივე ეს იმ ფონზე ხდება, როცა ადამიანის მოქმედების შედეგად მსოფლიოში მეტად შემაშფოთებელი კატაკლიზმები მიმდინარეობს. ეს ხდება არა მარტო მათი შრომითი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, არამედ მათი გრძნობების ერთობლიობითაც. სწორედ ადამიანისა და პლანეტის ქვეცნობიერება ქმნის ერთგვარ არხს, რომელიც დედამიწას აძლევს საშუალებას, იმოქმედოს მასზე მცხოვრებ ადამიანებზე. ამ მომენტში ადამიანების ემოციური ველი მაქსიმალურად დაძაბულია. მასების გრძნობები და სურვილები არის ტალღა, რომელიც ზემოქმედებს არა მხოლოდ მასზე, არამედ გარემოზე - ჩვენს პლანეტაზე. ისინი ორი სახისაა - დამანგრეველი და აღმშენებლობითი. თუკი ხალხის მასების ქვეცნობიერი მიმართულია სიკეთისკენ, აღმშენებლობისკენ, მაშინ ხალხის ეს გენერირებული ენერგია დედამიწაზე ახდენს სტაბილურ, კეთილგანწყობილ, დადებით გავლენას, ხოლო დამანგრეველი გრძნობები და სურვილები უარყოფითად მოქმედებს ჩვენს პლანეტაზე. ამის შედეგია ატმოსფეროს ციებ-ცხელება, ციკლონები, მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა, წყალდიდობები და სხვ.

***კაცობრიობისთვის კიდევ უფრო სახიფათოა, როცა სახელმწიფოს სათავეში მოდიან ადამიანები, რომელთა მიზანია, გაანადგურონ დადებითი მუხტი არა მხოლოდ ცნობიერებაში, არამედ ქვეცნობიერშიც. ასეთ შემთხვევაში მთელი ერის სულში იბუდებს სიძულვილი და პრობლემების გადაჭრა ხდება ომით, რომლის შედეგები სწრაფად აისახება პლანეტაზე, მის კლიმატზე -ირღვევა პლანეტის ჰარმონიული განვითარება.***

სამწუხაროდ, მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა მისი ხელახალი გადანაწილებისთვის. ქვეყნების სათავეში მოექცნენ ინტელექტუალურად დაბალი და სახელმწიფოებრივად მოუმზადებელი პიროვნებები. ამის შედეგია სისხლისმღვრელი ომები, უამრავი ლტოლვილი. მიმდინარეობს ნაციონალური და რელიგიური კონფლიქტები, რომლებიც ადამიანთა უზარმაზარ მასებს მოიცავს. საზოგადოების სოციალური კატაკლიზმების კავშირი სტიქიურ უბედურებასთან ადამიანთა ემოციების აფეთქებაა, ამიტომაც აუცილებელია, შეიცვალოს ადამიანთა აზროვნება და “გაიწმინდოს” მისი ფსიქოემოციური და ენერგეტიკული ველი.




გარდა ამისა, დაბინძურებულია საინფორმაციო ველიც, რაშიც აქტიურ როლს ასრულებს ტელევიზია. ტელევიზით გასული საშინელებათა, სადისტური თუ ძალადობის შემცველი ფილმები ან მასალა, ადამიანში აღვივებს ქვენა გრძნობებს და აღძრავს დამანგრეველ სურვილებს. ჩვენი სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევაც სწორედ აქეთაა მიმართული, რომ ერი გაიწმინდოს ამ შურისა და სიძულვილისგან: კარგად აქვს ამის შესახებ ნათქვამი ნოდარ დუმბაძეს “მარადისობის კანონში”: “დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დაიშრიტა წყარო სიყვარულის, სიცოცხლე დედამიწაზე სიყვარულითაა აღმოცენებული, ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი”. სამწუხაროდ, როგორც ურთიერთსიყვარული, ისე სამშობლოს სიყვარული თანდათან სცილდება ერთმანეთს, იგი ძლიერია მაშინ, როცა ერთად მოქმედებენ. არადა, ქრისტეს სიყვარულს შეწირული ერი ვართ, რომელიც ქართული ფსიქიკის საფუძველთა საფუძველია.

სამწუხაროდ, ვერ შევძელით წარსულში დაშვებული შეცდომების შესწავლა—გაანალიზება, მუდამ ძიებაში ვართ, თითქოს ვაშენებთ, ვქმნით ქვეყანას, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ჩვენთან მართვის დემოკრატიული სისტემის შექმნის წინაპირობა არ არსებობდა, არც ძლიერი და პატიოსანი ლიდერი გვყავს და ამიტომაც ჩავვარდით ამ საშინელ დღეში. აქსიომაა: ქვეყანამ ჯერ განათლებისა და ეკონომიკური განვითარების უმაღლეს დონეს უნდა მიაღწიოს, საშუალო ფენა უნდა ჩამოყალიბდეს, კაცი სიცოცხლის გადარჩენისთვის არ უნდა ფიქრობდეს და ამის შემდეგ დაიწყოს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა. ასეთ შემთხვევაში ადამიანები თვითონვე გამოიმუშავებენ თავიანთი კულტურისა და ტრადიციების შესაბამისი მმართველობის ფორმას. ჩვენი ქვეყანა უძველესი კულტურის ქვეყანაა და სწრაფი ცვლილებების მოლოდინი არაგონივრული და მიზანშეუწონელია. არ გვჭირდება ჩვენ ეს ე.წ. „შოკური თერაპია“ - დემოკრატიის უცებ დანერგვა. ხალხს თანდათანობით უნდა გაუჩნდეს ხარისხიანი და მაღალი დონის თავისუფლებით ცხოვრების სურვილი. ღმერთმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მოგვცა, მაგრამ ვერ ვიყენებთ, **სამშობლოში ჯერ კიდევ ვეძებთ სამშობლოს**.

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობით მეზობელ ქვეყნებთან სიძნელეებს ნუ შევიქმნით - მუსლიმური ქვეყნებით ვართ გარშემორტყმული. როგორც ოკეანეში კუნძული, მეტად რთულ და საჭირო ადგილზე ვცხოვრობთ, ესეც ჩვენი ბედია, რომლის სწორი გამოყენებით შეიძლება აყვავებულ ქვეყნად ვიქცეთ. საქართველოს გარშემო ბევრი ქვეყანაა იმპერიული ამბიციებით და ძნელია, მათგან თავის დახსნა, ამიტომ დიდი ჭკუა და დაფიქრება გვმართებს მათ მიმართ. ჩვენ პატარა ერი ვართ, მეტი სიყვარული გვმართებს ერთმანეთის, ქვეყნის წარსულისა და მომავლის მიმართ, ვინაიდან ჩვენი სიმცირე სათუოს ხდის ჩვენს არსებობას. დიდ ერებს კი ამის საფრთხე არ ემუქრებათ. როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა, **„საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშიან ბედაურს ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულს, თანაც ისე ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა, შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე, გადმოაგდებს და ძირს დაანარცხებს“.**

დიმიტრი უზნაძის შეხედულებებით ახალი ტიპის ქართველის აღსაზრდელად საჭირო იყო „იდეალური ინდივიდის შემუშავება“, რომელიც უნდა ყოფილიყო მტკიცე ნებისყოფის, აქტიური, მებრძოლი, ჰარმონიულად განათლებული, მომზადებული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისეთი სრულყოფილი ადამიანი, რომელიც როგორც ილია იტყოდა, იქნებოდა ბურჯი ეროვნებისა. თუმცა, გასულმა ორმა საუკუნემაც კი ვერ გასცა კითხვას პასუხი, თუ „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# კაცობრიობის უდიდესი საფრთხე – ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა

***რას ნიშნავს კაცობრიობის უდიდესი საფრთხე - ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა?***

უბრალო გაციებაზე ექიმის მიერ ანტიბიოტიკის დანიშვნას ხშირად ეჭვის თვალით ვუყურებთ ხოლმე და ალტერნატივას ვეძებთ, რადგან ამ ტიპის მედიკამენტების უკუჩვენებების შესახებ მეტნაკლებად ინფორმირებულები ვართ. თუმცა, რა ხდება, თუ ანტიბიოტიკებით მკურნალობა ხშირად გვიწევს? რა საფრთხის წინაშე ვდგებით?

ზრდას განაგრძობს, 2050 წლისთვის 10 მილიონი ადამიანი შეეწირება ისეთ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც ჯერ კიდევ შეიძლება. დღევანდელი სტატისტიკით კი 700 000 ადამიანი ყოველწლიურად აღნიშნული პრობლემით იღუპება.

ხშირ შემთხვევაში შეუცვლელი ანტიბიოტიკების მოქმედება ატომური ბომბის აფეთქებას გავს, ის ანადგურებს როგორც სასარგებლო, ისე დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს. მრავლობითი გვერდითი ეფექტებიდან გამომდინარე, იქედან გამომდინარე, რომ ანტიბიოტიკთან შედარებით ბევრად ნაკლები გვერდითი მოვლენებით გამოირჩევა და არ აზიანებს სასარგებლო მიკროფლორას, ფაგიო მკურნალობისა და პრევენციის მიზნით გამოიყენება ჩვილ ბავშვებში, ორსულებსა და იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებში. სწორედ უპრეცედენტო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ფაგიო ყველაზე ხშირად ბავშვებსა და ორსულებში ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ გამოიყენება.



აღსანიშნავია, რომ ბაქტერიოფაგების ტექნოლოგიის გამოყენებით, ბაქტერიული პათოგენების დამარცხება შესაძლებელია არა მხოლოდ მედიცინაში, არამედ საკვების უსაფრთხოებაში, სოფლის მეურნეობაში, ვეტერინარიასა და სხვა სფეროებში, სადაც ბაქტერიები საფრთხეს ქმნიან.

საქართველოს ფაგების მიმართულებით ერთი საუკუნის გამოცდილება აქვს. ქვეყანა პიონერია ფაგების კვლევისა და წარმოების მიმართულებით. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, ყოველწლიურად, საქართველოდან საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ასობით ტონა ფაგის პრეპარატით მარაგდებოდა.

ბიოქიმფარმი ფაგის კვლევისა და წარმოების საუკუნოვან ტრადიციას აგრძელებს და ასწლოვან გამოცდილებაზე დაყრდნობით ეფექტურ პრეპარატს აწარმოებს, რომელიც ანტიბიოტიკების რეზისტენტობასთან საბრძოლველად შეუცვლელ ალტერნატივად გვევლინება. ფაგებით მკურნალობის წარმატებულ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სან დიეგოს სამედიცინო სკოლის ფსიქიატრიული დეპარტამენტის პროფესორის 69 წლის ტომ პატერსონის ცნობილი ისტორია, რომელიც უმძიმესი მდგომარეობიდან ვერც ანტიბიოტიკოთერაპიამ გამოიყვანა.

ტომ პატერსონი და მისი მეუღლე სტეფანი სტრატდი, რომელიც გლობალური ჯანდაცვის მეცნიერებათა ცენტრის ასოცირებული დეკანია, 4 წლის წინ შვებულებას ეგვიპტეში ატარებდნენ, სადაც ტომი მოულოდნელად დაავადდა. ადგილობრივმა ექიმებმა მას პანკრეატიტის დიაგნოზი დაუსვეს, თუმცა, სტანდარტულმა მკურნალობამ უშედეგოდ ჩაიარა და მისი ფრანკფურტში გადაყვანა მოუწიათ, სადაც ანტიბიოტიკოთერაპია დაუნიშნეს. ანტიბიოტიკოთერაპია უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ინფექცია ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული იყო! საბოლოოდ, პატერსონი კომაში ჩავარდა და უმძიმეს მდგომარეობაში მოუწია მშობლიურ სან დიეგოში დაბრუნება.

პატერსონის სიცოცხლე მისმა მეუღლემ სტეფან სტრატდმა და ფაგებმა იხსნეს, რადგან სწორედ მისი მოთხოვნით დაიწყეს ფაგებით თერაპიის გამოყენება. 15 მარტს კომაში ჩავარდნილი პაციენტი 19 მარტს გონს მოვიდა, რამდენიმე თვეში კი გამოჯანმრთელებული პაციენტი სახლში გაწერეს.

შემთხვევა, რომელიც ფაგებით მკურნალობის წარმატებულ მაგალითად იქცევა, 4 წლის შემდეგაც ძალიან პოპულარულია, რადგან ანტიბიოტიკების მიმართ ინფექციების რეზისტენტობა იზრდება, ამიტომ დროა, მათ ჩანაცვლებაზე ვიფიქროთ.

ეს ანტიბიოტიკორეზისტენტობაა (ან, უბრალოდ რეზისტენტობა -ბაქტერიების მდგრადობა ანტიბიოტიკებისადმი), რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, კაცობრიობისთვის საფრთხის შემცველ გლობალურ პრობლემადაა აღიარებული. ანტიბიოტიკების აღმოჩენამ კაცობრიობის ისტორიაში გადატრიალება მოახდინა. მრავალი ისეთი დაავადება, რომლებსაც წინათ ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა, დღეს იკურნება. ამ საოცარი აღმოჩენის მიუხედავად, გვიახლოვდება ხანა, როდესაც ბანალური ინფექციები ჩვენს სიცოცხლეს საფრთხეს ისევ შეუქმნის. თუ ეს პრობლემა უფრო გამწვავდება, შესაძლოა, დავუბრუნდეთ იმ დროს, როდესაც თითის გაკაწვრით გამოწვეულ ინფექციასაც კი შეეძლო ფატალური შედეგების გამოწვევა (დღესაც შეიძლება, თუ რიგ შემთხვევებში ტეტანუსის ან სხვა შესაბამისი აცრა არ ჩავიტარეთ).

**წლების განმავლობაში ანტიბიოტიკების დაუდევარი გამოყენების შედეგად ბაქტერიებმა იმუნიტეტი გამოიმუშავეს, ანტიბიოტიკთა ნაწილი, განსაზღვრულ ბაქტერიაზე აღარ მოქმედებს. სწორედ ამას ეწოდება ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფექცია, რომელიც დღეს იოლად იკურნება, ხვალ, დიდი ალბათობით, ანტიბიოტიკების გამოყენებით უკურნებელი გახდება. რეზისტენტობის გავრცელების პრობლემას უფრო ამძაფრებს ანტიმიკრობული საშუალებების ვეტერინარიაში გამოყენებაც. ხშირად ცხოველთა წონის გაზრდის მიზნით, აქტიურად იყენებენ ანტიბიოტიკებს (ქათმის, ღორის, საქონლისა და სხვა ცხოველებისა და ფრინველების შემთხვევაში.) ჩვენ კი აღნიშნულ ხორცს საკვებად მოვიხმართ. საკვებიდან მიღებული ანტიბიოტიკების მცირე დოზაც კი ბაქტერიებს აძლიერებს და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულს ხდის. დღევანდელ მსოფლიოში სწორედ ეს არის რეზისტენტობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი, რომლის რეგულირებაც ვერ ხერხდება.**

თანამედროვე მედიცინის სტატისტიკა არასახარბიელო პროგნოზებზე საუბრობს: იმ შემთხვევაში, თუ რეზისტენტობის მაჩვენებელი

ხშირად ანტიბიოტიკები, პირიქით, აუარესებენ კიდეც ორგანოთა ფუნქციას, ასევე აქვეითებენ ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ იმუნიტეტს. სწორედ ამიტომ გვიჩნდება უნდობლობა, როცა ჯანმრთელობის მცირე პრობლემაზეც კი ანტიბიოტიკის მიღებას გვთავაზობენ. ანტიბიოტიკი ანადგურებს ადამიანის ორგანიზმის მთლიან მიკროფლორას. როგორც ვიცით, ადამიანის ორგანიზმი შედგება როგორც მავნე, ასევე სასარგებლო ბაქტერიებისგან.

**არის თუ არა შესაძლებელი ანტიბიოტიკების ჩანაცვლება?**

ბაქტერიებთან ბრძოლის ალტერნატივად თანამედროვე მედიცინაში ფაგოთერაპია გვევლინება, რომლითაც ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსის ჩანაცვლება შეგვიძლია. ფაგები ანტიბიოტიკების ირაციონალური გამოყენების აღმოსაფხვრელად და რეზისტენტული ინფექციების დასამარცხებლად შეუცვლელი საშუალებაა.

ფაგები, როგორც მავნე ბაქტერიებთან ბრძოლის ეფექტური საშუალება, საქართველოში, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ 1940-იანი წლებიდან გამოიყენება. ფაგები სპეციფიკურ, დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს ანადგურებს. ორგანიზმში მოხვედრისთავანე მავნე ბაქტერიებს "საკვებად" იყენებს და მათი განადგურების შემდეგ, ორგანიზმს ტოვებს.

საკვებისა და სასმელი წყლის საშუალებით ყოველდღიურად მილიონობით ფაგს ვიღებთ. ბაქტერიოფაგი (ანუ ფაგი) დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ორგანიზმია. ფაგები უსაფრთხოა ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეებისთვის და ისინი მხოლოდ კონკრეტულ ბაქტერიებს ანადგურებენ. ფაგები არ აზიანებენ ღვიძლს და თირკმელებს, არ იწვევენ დისბიოტურ ცვლილებებს და ა.შ. ფაგს შეუძლია, ეფექტურად გაანადგუროს ბაქტერია, მისი რეზისტენტული ფორმების ჩათვლით, ამასთან, არ აზიანებს ადამიანის ბუნებრივ მიკროფლორას და არ გააჩნია გვერდითი მოვლენები.

დღეს, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი პრეპარატი ფაგიოა.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

## მონატრება
### მიშიკო ბიკაშვილი



ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო სიცოცხლით გაუმაძღარო შვილო, როგორ გვიჭირს ამ სიტყვების წარმოთქმა და შენზე წარსულში ლაპარაკი. როგორ გიყვარდა სიცოცხლე და რა მალე წაგართვეს არაადამიანებმა. 12 წელია, 27 ნოემბერს – შენს დაბადების დღეს, შენს საფლავზე სანთლებით, ერთი ჭიქა შესანდობარით და ცრემლიანი თვალებით ვხვდებით. არ დაგვიტოვეს არჩევანის უფლება, როგორ და სად შევხვედროდით შენს დღეს, რა საჩუქარს გაგიკეთბდით და რით გაგახარებდით. დავრჩით გულგახეთქილი მშობლები და შენგან მხარჩამოგდებული შენი ძმა, ძმა, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად უყვარდი და უყვარხარ. ყოველდღე მოდის შენს საფლავზე და შიშველი ხელებით ასუფთავებს შენს სამუდამო განსასვენებელს. საშინელებაა ამ ყველაფრის ატანა და სიტყვებით გადმოცემა, რასაც ჩვენ განვიცდით მაგრამ ეს ჩვენი მწარე რეალობაა. სანამ გვიწერია სიცოცხლე, არ მოგაკლებთ არაფერს, რის გაკეთებასაც შენთვის შევძლებთ ამ მდგომარეობაში. მისავალი ყოფილიყოს შენთვის ყველა სიტყვა, ყველა აწეული ჭიქა და ყველაფერი, რასაც შენს სახელზე გავაკეთებთ,.შენ კი მაინდან ილოცე შენი ახლობლებისათვის. ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, ჩვენო მიშიკო.

**შენი მშობლები:** გელა და მანანა ბიკაშვილები
**შენი ძმა და რძალი:** ლევან და თეა ბიკაშვილები

## მონატრება
### მიშიკო ბიკაშვილი



მიშო, არ ვიცი, როგორ დავიწყო, რა დავწერო და როგორ მოგილოცო დღე, რომელსაც 27 წელი ისე ველოდი, რომ რამე სიუპრიზი მომეწყო და დაბადების დღე გამელამაზებინა შენთვის. სულ რაღაც 6 თვით პატარა იყავი ჩემზე, ფაქტიურად ტყუპებივით გავიზარდეთ. ჩვენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები კი არა, ღვიძლი და-ძმა უფრო ვიყავით. არც ერთი დაბადების დღე არ ყოფილა ჩემს გარეშე, ახლა კი უკვე მე-12 დაბადების დღე მოდის, წლის ის თვე, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა და ყველაზე მეტად შემაძულეს იმ სისხლისმსმელებმა, ვინც სიცოცხლეს გამოგასალმა. ახლა აღარ ვფიქრობ სიურპრიზებზე და იმაზე, რა გაგახარებს. ახლა ეს ცარიელი სიტყვებია, რასაც მე შენთვის ვაკეთებ და კი არ მიხარია, ცრემლები მახრჩობს. 27 ნოემბერს 39 წელი შეგისრულდებოდა. ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს შენს ლამაზ სულს და მსუმბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შავი მიწა.

**უსაზღვრო მონატრებით**
**შენი მამიდაშვილი**
ლიკა ლეკიაშვილი

უახლოესი მეზობლები: მადლენა ყოჩიაშვილი, მარო იაკობიშვილი, ანიკო ცოფურიშვილი, ალიკა სულაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, გია გონაშვილი, ომარ ალადაშვილი, გივი ლომიძე, ნოდარ გივიშვილი, გენადი ნასრაშვილი სამძიმარს უცხადებენ ნაზი მოსაშვილს მაზლის და ილიკო ბიკაშვილს ბიძის

შოთა ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

აბრამ, მარინა, გივი ხარაშვილები, ჯიმი ალუღიშვილი, ლალი ბოჭორიშვილი, ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები ოჯახებით მწუხარებას გამოხატავენ გაზეთ „შირაქის" ყოფილი რედაქტორის მოადგილის

შოთა ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს.

კლარა ოზაშვილი და გუგული ალადაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა შანშიაშვილს მეუღლის, ლალი და მუხრან ბიკაშვილებს მამის, ნაზი მოსაშვილს მაზლის

შოთა ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ესპანელის თვალით დანახული ფიროსმანობა

წელიწადის ერთ-ერთი ყველაზე ფერადი და ჯადოსნური სეზონი, შემოდგომა ჩემს რაიონში ყოველთვის ფიროსმანობასთან ასოცირდება. ამ მხრივ, 2019 წელიც არ ყოფილა გამონაკლისი. 10 ოქტომბერს, ტრადიციულად, სოფელ მირზაანში ჩატარდა ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი ღონისძიება. გარდა ამისა, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოადგენდა ადგილობრივ ტრადიციებს.

*მას შემდეგ, რაც ივ.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, მათავარი სპეციალობის (კულტურის კვლევები) გარდა, დავაფიქსირე მეორადი პროფესია-ესპანური ფილოლოგია, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. გავეცანი ესპანელი ხალხის განსხვავებულ , საოცარ და ამოუწურავ კულტურას. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ენების ცენტრი აძლევს სტუდენტს საშუალებას ისწავლოს , როგორც ქართველ სპეციალისტებთან, ასევე ესპანელ პროფესორებთან. 2019 წლის სექტემბერში, ამ მიზნით, საქართველოს ესტუმრა რუთ გარდოსი, ვალენსიიდან. ენერგიული, პოზიტიური და შრომისმოყვარე ესპანელი ლექტორი,რომელიც 30 წლისაა. თამამად შემიძლია ვთქვა,რომ ის არაფერს იშურებს სტუდენტებისთვის. სურს სრულყოფილად შეგვასწავლოს ენა, შეგვაყვაროს ესპანეთი და ესპანელები*. რუთი მხოლოდ თბილისს იცნობდა მანამ, სანამ ჩემს რაიონში დავპატიჟებდი ფიროსმანობის დღესასწაულთან დაკავშირებით. მოპატიჟებას ესპანელი ლექტორი დიდი სიამოვნებით დათანხმდა. ის და ესპანური ენის ჯგუფის სტუდენტები ერთად ეწვივნენ მირზაანს, შემდეგ კი დედოფლისწყაროს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუთს ძალიან აინტერესებს საქართველოს რეგიონები, ადგილობრივი ტრადიციები, ფოლკლორი და ქორეოგრაფია. როგორც თავად ლექტორი აღნიშნავს, რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა. იგი აღფრთოვანებული დარჩა ფიროსმანის სახლ-მუზეუმით, თეატრალური დასი „ბერიკონის“ წარმოდგენითა და საცეკვაო თუ სასიმღერო ნომრებით. გარდა ამისა, დღემდე შთაბეჭდილებების ქვეშაა ქართული ტრადიციული კერძების მრავალფეროვნებით.

*მირზაანის დატოვების შემდეგ ჩემი კურსელები და ესპანელი ლექტორი დედოფლისწყაროში ჩამოვიყვანე, ელიას მთაზე ავიყვანე და მამათა მონასტერი ვაჩვენე . დიდი სიამოვნებით ვუყვებოდი ამ ადგილის ისტორიასა და ხალხში დამკვიდრებულ ლეგენდებს. კლდეზე ნაშენი ტაძრით ყველა აღფრთოვანებული დარჩა. განსაკუთრებით მოეწონათ ხედი, რომელიც ელიის მთიდან იშლებოდა. საღამოს სახლში მივედით, სადაც ემოციებით სავსე და ამავდროულად, ცოტა დამღლელი დღე ქართული ოჯახური ტრადიციების, სუფრის წეს-ჩვეულებებისა და სტუმარმასპიძლობის გაცნობით დასრულდა.* როგორც თავად რუთი აღნიშნავს, საქართველო ძალიან საინტერესო და ეგზოტიკური ქვეყანაა, რომელიც ძალიან ჰგავს ესპანეთს. ამ დღემ დამარწმუნა, რომ ფიროსმანობის დღესასწაულს და არა მარტო მას, შეუძლია სხვადასხვა ქვეყნის ტურისტებს უმასპინძლოს. ეს კი ძალიან კარგი იქნება, როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის, ასევე მისი განვითარების თვალსაზრისით.

სტატიას კი დავასრულებ რუთ გარდოსის სიტყვებით : „საქართველო არის ქვეყანა, რომლის მოსახლეობა თავს აგრძნობინებს ადამიანს ისე, როგორც საკუთარ სახლში. ძალიან მარტივია საყვარელი საქმის კეთება, როცა საზოგადოება ასეთ კომფორტს გთავაზობს ადაპტაციისთვის.“

მარიამ ლოლაშვილი





# უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

## გიორგი კოდიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო შვილიშვილო გიორგი, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლასა და სულიერ სიმტკიცეს. იყავი ისეთი მხნე და ძლიერი, როგორიც შენი მფარველი წმინდა გიორგია. 17 წლის წინ სწორედ მისი მფარველობის ქვეშ მოევლინე ქვეყანას და ყველას გაგვითბე და გაგვიხარე გული. დალოცვილი და დღეგრძელი იყავი.

***სიყვარულით, შენი პაპა-ბებო***
დავით და სვეტლანა ბენაშვილები.

## მარინე ცხვედიაშვილს!

ძვირფასო ქალბატონო მარინე, სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების საიუბილეო - 60 წლისთავს. თქვენ ჩვენი რაიონის სიამაყე ბრძანდებით, თქვენი შემოქმედება ქიზიყური სულის ამოძახილია. იცოცხლეთ დიდხანს, იყავით ჯანმრთელი და დღეს, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშიც, მრავალ ისეთ ლექსს ველოდებით თქვენგან, ამ არეულ-დარეულ დროში, პატრიოტულ მუხტს რომ გაუღვიძებს მომავალ თაობას.

გისურვებთ ბედნიერებას თქვენს დიდ ოჯახთან ერთად. გკოცნით და გეფერებით.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია და
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია

# ეს საინტერესოა

- დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი არსებების 99% გადაშენდა.
- ღამურა ერთადერთი ძუძუმწოვარია, რომელსაც ფრენა შეუძლია.
- კოლიბრს არ შეუძლია სიარული.
- სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც 4 მუხლი აქვს.
- დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი არსებების 70% ბაქტერიებია.
- ტოკიოს ზოოპარკი ყოველ წელს 2 თვით იხურება, რომ ცხოველებმა შეძლონ მნახველებისგან დსავენება.
- ყოველ წელს ფუტკრის ნაკბენით უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე გველის ნაკბენით.
- ბოლო 5 წლის განმავლობაში გაერომ კანადა 4-ჯერ გამოცხადა სიცოცხლისთვის საუკეთესო ქვეყნად.
- როგორც რენტგენმა აჩვენა “მონა ლიზა”-ს ქვეშ კიდევ სამი თავდაპირველი ვარიანტია.

# ა მ ი ნ დ ი   დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| ორშაბათი 25.11 | | სამშაბათი 26.11 | | ოთხშაბათი 27.11 | | ხუთშაბათი 28.11 | | პარასკევი 29.11 | | შაბათი 30.11 | | კვირა 01.12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 0 ° | –1 ° | 3 ° | 2 ° | 4 ° | 2 ° | 7 ° | 6° | 8 ° | 7° | 9 ° | 7 ° | 12 ° | 11 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.